საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-02/187

ქ. ბათუმი 26 ივლისი, 2022 წ.

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ,,ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით კურიკულუმის კომიტეტის შემადგენლობისა და მუშაობის გეგმის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის №06-01/54 დადგენილების, ,,ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი“ შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 03 ივნისის №06-01/36 დადგენილების, ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 18 მაისის N 511201, 2022 წლის 04 ივლისის N754079, 06 ივლისის N766715 და N 765697 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის **,,ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტის“** სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით კურიკულუმის კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ასიე ცინცაძე - ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი, ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახრის უფროსი - კომიტეტის თავმჯდომარე;

ბ) ვლადიმერ ღლონტი - ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

გ) ნათელა წიკლაშვილი - პროგრამა ,,ეკონომიკის“ ხელმძღვანელი - ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ,,ეკონომიკის'' დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი, ბსუ-ს ეკონომიკისა დ ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;

დ) ვაჟა ვერულიძე - ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების'' საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტისა და საგადასახადო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი;

ე) ია მესხიძე - ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტისა და საგადასახადო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

ვ) გელა მამულაძე - ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი;

ზ) პაატა არუშიძე - ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

თ) ლელა ონიანი - ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

ი) არჩილ ვანაძე - დამსაქმებელი - შპს „ელიტ ჰაუსი"-ის დირექტორი;

კ) ნათია დოჭვირი - დამსაქმებელი - აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი;

ლ) მარიამ ხაზარაძე - ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის ,,საბუღალტრო და საგადასახადო საქმის სპეციალიზაციის" სტუდენტი;

მ) საბა ხარაზი - ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საბუღალტრო და საგადასახადო საქმის სპეციალიზაციის მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტი;

ნ) მაია დავითაძე - ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საბუღალტრო და საგადასახადო საქმის სპეციალიზაციის მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტი;

ო) ლინდა სურმანიძე - ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საბუღალტრო და საგადასახადო საქმის სპეციალიზაციის მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტი.

2. დამტკიცდეს ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე **,,ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტის"** სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფის სამუშაო გეგმა **,,დანართი 1"- ის** შესაბამისად.

3. კურიკულუმის კომიტეტის წევრებს თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება დაევალოს წინამდებარე ბრძანებისა და ,,ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის №06-01/54 დადგენილების შესაბამისად.

4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილესა (ა. ბერიძეს) და ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს (დეკანს, დეკანის ოფისს, პროგრამის ხელმძღვანელს, სამუშაო ჯგუფის წევრებს, კურიკულუმის კომიტეტის წევრებს).

5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოცემისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 26 ივლისის N 01-02/187 ბრძანების
დანართი 1

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფის (შექმნილი ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით N06-01/36, 09.06.2022) სამუშაო გეგმა

#	შესასრულებელი სამუშაო	ინდიკატორები	პასუხიმგებელი პირი/პირები	შესრულების ვადები	შენიშვნა
1	პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი კითხვარის მომზადება დამსაქმებლებისათვის	შეთანხმებული კითხვარი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი	პროგრამის ხელმძღვანელი ვაჟა ვერულიძე/ სამუშაო ჯგუფი	06/06/22 10/06/22	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ჩართულობით
2	პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ჩამოყალიბება	პროექტი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი	პროგრამის ხელმძღვანელი	13/06/22 24/06/22	სწავლის შედეგები უნდა გაიწეროს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ცოდნა და გაცნობიერება: უნარი: პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:
3	პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების განხილვა კურიკულუმის კომიტეტზე	სამუშაო ჯგუფის და კურიკულუმის კომიტეტის ერთობლივი სხდომის ოქმი	პროგრამის ხელმძღვანელი	27/06/22 15/07/22	
	3.1. დამსაქმებელთა/ პოტენციურ დამსაქმებელთა განსაზღვრა	დამსაქმებელთა/პოტენციურ დამსაქმებელთა ნუსხა სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი	პროგრამის ხელმძღვანელი/ სამუშაო ჯგუფი	18/07/22 29/07/22	
	3.2 დამსაქმებელთა გამოკითხვის ჩატარება	მონაცემები გამოკითხვის შესახებ	პროგრამის ხელმძღვანელი /სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი	12/09/22 30/09/22	დამსაქმებლები გამოკითხვაში მონაწილეობენ ელექტრონული სისტემის გამოყენებით, რომლის მისამართს მოგაწოდებთ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
	3.3 დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში ცვლილებების შეტანა	სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი	პროგრამის ხელმძღვანელი/ სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი	03/10/22 04/11/22	დამსაქმებელთა ჩართულობით
	3.4 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმების, ინსტრუმენტებისა და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა	სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი	პროგრამის ხელმძღვანელი /სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	07/11/22 25/11/22	საკითხის განხილვის პროცესში სასურველია კონსულტაცია გაიაროთ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან
	3.5 პროგრამის პოტენციურ განმახორციელებელ პირებთან პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და მისი შეფასების მეთოდების გაცნობა	სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი პრეზენტაცია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების შესახებ	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი	28/11/22 16/12/22	

4	პროგრამის სწავლის შედეგების გათვალისწინებით პროგრამაზე დაშვების წინაპირობის განსაზღვრა	პროექტი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი	პროგრამის ხელმძღვანელი /სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი	19/12/22 28/12/22	
5	პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად მოდულების/სასწავლო კურსების/პრაქტიკის ან/და სხვა (პრაქტიკული/სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი უნარების განმავითარებელი) კომპონენტების განსაზღვრა და შედეგების რუკის შედგენა;	პროექტი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი	პროგრამის ხელმძღვანელი /სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი	16/01/23 03/02/23	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ჩართულობით
6	ა) თითოეული სასწავლო/სამეცნიერო ან/და სხვა კომპონენტის განსახორციელებლად პერსონალის კომპეტენციის შესაბამისობის დადგენის მიზნით ინფორმაციის (განათლება, კვალიფიკაცია, სამეცნიერო პუბლიკაციები, სამუშაო გამოცდილება და სხვა) განხილვა სამუშაო ჯგუფის მიერ ბ)მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერა და პროგრამის საჭიროებებთან შესაბამისობის მიზნით სამუშაო ჯგუფზე განხილვა	პროექტი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი	პროგრამის ხელმძღვანელი /სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი	06/02/23 24/02/23	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ჩართულობით
7	საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით რეკომენდირებული სწავლა-სწავლების მეთოდების (მათ შორის,სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით) განსაზღვრა	პროექტი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი/ფოტო მასალა	პროგრამის ხელმძღვანელი/ სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი	27/02/23 10/03/23	
8	თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებისა და კრედიტების განსაზღვრა;	პროექტი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები/ფოტო მასალა	პროგრამის ხელმძღვანელი /სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი	13/03/23 24/03/23	სამუშაო ჯგუფის შეხვედრები უნდა გაიმართოს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მონაწილეობით
9	თითოეული სასწავლო კურსის ძირითადი ლიტერატურის განსაზღვრა და საბიბლიოთეკო ფონდის გადამოწმება/განახლება	პროექტი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები	პროგრამის ხელმძღვანელი /სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი	27/03/23 21/04/23	სამუშაო ჯგუფის შეხვედრები უნდა გაიმართოს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მონაწილეობით
10	10.1 სასწავლო კურსის სილაბუსების განხილვა სამუშაო ჯგუფის მიერ	პროექტი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები/ფოტო მასალა (სამუშაო ჯგუფის შეხვედრები უნდა გაიმართოს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მონაწილეობით)	პროგრამის ხელმძღვანელი /სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი	24/04/23 19/05/23	სილაბუსების განხილვის დროს გადამოწმდება სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. ასევე სტუდენტის შეფასების სისტემის შესაბამისობა სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან
	10.2 სასწავლო კურსის სილაბუსების განხილვა კურიკულუმის კომიტეტის მიერ	პროექტი კურიკულუმის კომიტეტის სხდომის ოქმები/ფოტო მასალა (სამუშაო ჯგუფის შეხვედრები უნდა გაიმართოს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მონაწილეობით)	პროგრამის ხელმძღვანელი /სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი	22/05/23 02/06/23	

	10.3 საგანმანათლებლო პროგრამის საბოლოო ვერსიის განხილვა სამუშაო ჯგუფისა და კურიკულუმის კომიტეტის მიერ პროგრამის ბიუჯეტის პროექტის შედგენა	პროექტი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები/ფოტო მასალა კურიკულუმის კომიტეტის სხდომის ოქმები/ფოტო მასალა	პროგრამის ხელმძღვანელი /სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი	05/06/23 16/06/23	ბიუჯეტი უნდა შედგეს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად და შეთანხმდესამავე სამსახურთან
	10.4 საგანმანათლებლო პროგრამის განხილვა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე	ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი	პროგრამის ხელმძღვანელი /სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი	19/06/23 30/06/23	
11	საგანმანათლებლო პროგრამის განხილვა აკადემიური საბჭოს სხდომაზე	აკადემიური საბჭოს დადგენილება	პროგრამის ხელმძღვანელი /სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი	03/07/23 14/07/23	
12	საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასებისთვის საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის მოძიებასა და თითოეული სტანდარტის შევსებაზე პასუხიმგებელი პირებისა და შესრულების ვადების განსაზღვრა	პროექტი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები	პროგრამის ხელმძღვანელი /სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი	17/07/23 28/07/23	
13	თვითშეფასების განხილვა სამუშაო ჯგუფის სხდომაზე თითოეული სტანდარტის შესაბამისად	პროექტი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები	პროგრამის ხელმძღვანელი /სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი	11/09/23 06/10/23	
14	თვითშეფასების განხილვა კურიკულუმის კომიტეტის სხდომაზე	პროექტი კურიკულუმის კომიტეტის სხდომის ოქმი	პროგრამის ხელმძღვანელი /სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი	09/10/23 13/10/23	
15	საგანმანათლებლო პროგრამისა და აკრედიტაციის თვითშეფასების წარდგენა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	16/10/23 27/10/23	